ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6063869

ნომერი: AR1912278

თარიღი : 14.07.2022

გაცემის თარიღი : 02.08.2022

გაცნობის თარიღი : 02.08.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა , N 111 ; ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა , N 111ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კვიწინაშვილი პ/ნ 01006005364
- თბილისი დიღმის მას. VI კვ. კორ. 1 ბ. 9

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2022 წლის 14 ივლისის №AR1912278 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 2021 წლის 16 თებერვლის №5266604 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2022 წლის 21 ივლისის №6047424 ბრძანებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ არ არის გამოსწორებული დადგენილი ხარვეზები, კერძოდ წარმოდგენილ გეგმებზე და მათზე გამოტანილ ექსპლიკაციებზე კომერციული, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს, ასევე დამხმარე ფართობების ჯამური მაჩვენებელები შეუსაბამოა ერთმანეთთან. ასევე, შეცვლილია გეგმარება, კერძოდ წარმოდგენილი და შეთანხმებული გეგმები შეუსაბამოა ერთმანეთთან. აგრეთვე, წინამდებარე განცხადებაში, ისევ დაუსაბუთებელია რაში გამოიხატება ტექნიკური შეცდომების არსებობა შეთანხმებულ დოკუმენტაციებში, შესაბამისად საჭიროა წარმოდგენილ იქნეს დოკუმენტაცია, მათ შორის ფასადები, ჭრილები და ფოტომონტაჟი ტექნიკური შეცდომის ადგილების მონიშვნით (სამსახურის 2022 წლის 21 ივლისის №6047424 ბრძანების შესაბამისად). გაითვალისწინეთ, რომ თითოეულ გეგმაზე გამოტანილ ექსპლიკაციაზე მიუთითეთ მხოლოდ ის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც ამავე გეგმაზე მდებარეობს (საერთო მაჩვენებლები შეგიძლიათ დააფიქსიროთ მოთხოვნის ტექსტშიც).
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭიროა დაზუსტებულ იქნეს მოთხოვნა კომერციული, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს, დამხმარე და საერთო ფართბებთან დაკავშირებით. ამასთან, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს სამსახურის 2021 წლის 16 თებერვლის №5266604 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური (გეგმარების ცვლილების გარეშე) გეგმები, მასზე გამოტანილ ექსპლიკაციებზე შესწორებული ფართობების მითითებით. ასევე, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს სამსახურის 2021 წლის 16 თებერვლის №5266604 ბრძანებით შეთანხმებული ფასადების, ჭრილების და ფოტომონტაჟის იდენტური ფასადები, ჭრილები და ფოტომონტაჟი ტექნიკური შეცდომის ადგილების მონიშვნით.
ვინაიდან, სამსახურის 2022 წლის 21 ივლისის №6047424 ბრძანებას გაეცანით 2022 წლის 21 ივლისს, ხოლო სამსახურს განმეორებით მომართეთ 2022 წლის 29 ივლისს, ხარვეზის შევსებისთვის განსაზღვრული 30 (ოცდაათი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 24 (ოცდაოთხი) სამუშაო დღე.
სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 24 (ოცდაოთხი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2022 წლის 14 ივლისის №AR1912278 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.